№ 180. აგვისტოს 19, კვირა. 1866—1884 ტფილისი აგვისტოს 19, კვირა. № 180.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე 7 კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

არწრუნისეული თეატრი

კვირას, მარიამობისთვის 19-ს,

გამართული იქნება

წარმოდგენა და კონცერტი

I

ჯერ ჭურდი, მერე მოურავი

კომედია-ვოდევილი 1 მოქმედებად.

II

კონცერტი

ა) ხალხური სიმღერები, ბ) ლიტერატურული განყოფილება და გ) კომიკური კუპლეტები.

ხოროში მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ბალანჩივაძე, ბ. ციკნაველიძე, ბ. ბერიშვილი, ბბ. ბეჟანიშვილები და სხვანი.

III

საძმრო გაჭირვებულ მდგომარეობაში

კომედია 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: მ.მ. საფაროვისა, ვ. მელიქიშვილისა, ვ. აბაშიძე, ა მოხვევ, ა. ღულაძე, ვ. გაბიჩვაძე, ხოროა და სხვ.

ანტრაქტში დაუკრავს სამხედრო მუზიკა

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

„ვიზანტია“

ამა აგვისტოს 15-ს გაიხსნება «ბათუმის» სასტუმრო, რომელიც ღღემდის იყო დახურული. ოთრივე სართული ამ სასტუმროისა ხელ-ახლად გარდაკეთდა და დაერქვა სახელად «ვიზანტია», ამ რიცხვიდან პატივის-ცემით მიიღებს სტუმრებს, რომელთაც ძრიელ იაფად ექნება სუფთა ოთახი და საჭმელი.

(3—2) არენდატორი კ. შენგელია.

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთა-საცავი.

თბილისი, აგვისტოს 19-ს.

ძნელად შეხვდება კაცი დედა-მიწის ზურგზედ იმისთანა კულტურულ ხალხს, ე. ი. წერა-კითხვის მქონეს, თვით—ცნობიერობით შემკულს და ჯეროვანი ადგილის მჭერელს კაცობრიობის წარმატების სარბიელზედ,—რომელსაც თავისი სამეცნიერო ტაძარი არა ჰქონდეს. ამ ტაძარში შეკრებილი აქვს მას თვისი ნაციონალური განძი, ნიშანნი მამა-პაპათა მოღვაწეობისა, გონების საუნჯე თვისთა წინაპართა. ზოგან ამ ტაძარს ნაციონალური მუზეუმი ჰქვიან, ზოგან ნაციონალური ბიბლიოთეკა, ზოგან სხვა იქნება უფრო შესაფერი სახელი. როდესაც უცხოელი მოდის ამ ქვეყანაში, იგი მიჰყავთ სამეცნიერო ტაძარში, სადაც ფოკუსისამებრ მოგროვილია გონებრივი ნაწარმოები ხსენებული ხალხისა.

ღღემდის და ღღესაც ჩვენ, ქართველებს, არა გვაქვს-რა იმისთანა, რასაც შორეული მიმზგავსება მაინცა ჰქონდეს ან მუზეუმთან, ან ბიბლიოთეკასთან, მხოლოდ ამ ცოტას ხანში დაარსდა «წერა-კითხვის საზოგადოებასთან» ქართული წიგნების ბიბლიოთეკა, სადაც ყოველის მხრივ სხვა-დასხვა ხელ-ნაწერები გროვდება. ვინიცის, იქნება მოკლე დროში ეს წიგნთა-საცავი შეიქმნეს იმისთანა დაწესებულებად, სადაც თამამად შეგვეძლოს უცხო-ქვეყნელთა შეყვანა და თქმა: ჩვენ მოველეთ კიდით-კიდემდე ჩვენი ბუნებით-შემკული ქვეყანა, არ დავაგდეთ განუზრეკელი არც ერთი სახლი, არც ერთი კუთხე, სადაც კი შესანიშნავი რამ გვეგულებოდა და აქ შეეკრიბეთ ყოველივე, რითაც ვამაყობთ და რასაც შეუძლიან მოჰფინოს მცირედიც არის სხივი ჩვენს მრავალ-ტანჯულს ისტორიას.

იქნება ოცნება იყოს, მაგრამ რომ ეს ოცნება სრულიად ნიადაგს მოკლებული არ არის, ამის დამტკიცება ადვილია. ბაბედვით შეგვიძლიან თქმა, რომ არც ერთ წელიწადში იმდენი ძველი წიგნები არ დაბეჭდილა, რამდენიც წრეულს დაიბეჭდა და კიდევ აპირობენ დაბეჭდვას. მისრამიანი, ჭილილა და დამნა, საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვახუშტის ისტორია, ანტონ კათალიკოზის გრამატიკა, ამირან-დარეჯანიანი, როსტომიანი და კიდევ ვინ იცის, რამდენი მიემატება ამ სიას წლის დასასრულამდე... რა თქმა უნდა რომ მადლობა ამ ჩინებულ გამოცემათათვის სრულად ეკუთვნის იმ განათლებულ პირთ, რომელთაც ესმით მნიშვნელობა ძველის კლასიკური ლიტერატურისა ეროვნულის ცნობიერობისათვის, მაგრამ ესეც უეჭველია, რომ თითონ ხალხში გაძლიერებულა მოთხოვნილება ამ ლიტერატურის აღდგენისა, თორემ უამისოდ ორი და სამი პირი ვერ შემუსრავდა უმრავლესობის გულ-გრილობას და კერძო პირთაგან გამოცემული წიგნები სარდაფებში დალპებოდენ.

მეორე ნიშანი საზოგადოებაში ამ ჩინებული მიმართულების გაძლიერებისა ის არის, რომ ხსენებულ «წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთ-საცავს ღღითი-ღღე მოსდის სხვა-და-სხვა პირთაგან შემოწირულობა მეტადრე ძვირფასი ხელ-ნაწერი წიგნებით. ამ პატივსაცემ პირთ, ეჭვი არ არის, თავიანთ წიგნებთან განშორება უჯიგრობით არ მოსდით. მათ ნაკლებად არ უყვართ ისინი იმ პირებზედ, რომელნიც დახარიან თავიანთ ძველ წიგნებს, ჯაჭვით აბმენ და საზარელს წყეველას უთვლიან იმას, ვინც კი განიზრახავს მათის საუნჯის მოპარვას. მაგრამ პირველთა სიყვარული ჰგავს გაგებული კაცისაგან ფულის სიყვარულს, რომელსაც თავის ცხოვრების საგნადა აქვს, თითონაც ისიამოვნოს, სხვაც ასიამოვნოს და საზოგადოებასაც სამსახური გაუწიოს, ხოლო მეორეთა სიყვარული წარმოგვიდგენს ძუნწისაგან სიყვარულს ფულისას, რომელსაც თაყვანსა სცემს, რომელზედაც ლოცულობს, მაგრამ რომელსაც არც თითონ ირგუნებს, არც სხვას არგუნებს, რომლითაც არც ღმერთს აამებს, არც ეშმაკს.

ამ ნიშნებმა უნდა წააქეზონ «წერა-კითხვის საზოგადოება» რომ იგი უფრო ენერგიულად შეუდგეს თავის მძიმე, მაგრამ სახელოვანს საქმეს და თვისის მოქმედებით მეტი თანაგრძნობა გამოიწვიოს საზოგადოებაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ, თუ გამგეობამ მეტი მოღვაწეობა, მეტი სიმხნე, მეტი ფხა გამოიჩინა, საზოგადოებაც ერთი ხუთად და ათად უფრო თანაგრძნობით მოექცევა მას.

რაც შეეხება კერძოდ თვით წიგნთა-საცავს, რომლის გამოც ჩვენ ღღეს დავიწყეთ ლაპარაკი, ამ წიგნთა-საცავის მნიშვნელობა მეტის-მეტად დიდი და მრავალ-მხროვანია...

იგი იქნება ჩვენის ისტორიის გამომკვლეველთათვის საუკეთესო და აუცილებელი თანამშრომელი, იგი იქნება ჩვენის ენის მასწავლებელი, ჩვენის გაღარიბებული ლექსიკონის გამამდიდრებელი.

საჭიროა მხოლოდ მუყაითი მოქმედება გამგეობისა და საზოგადოების ჯეროვანი თანაგრძნობა.

შინაური ქრონიკა.

= ბ. ბიორგი ვასილის-ძის ზალიკალიანისაგან კიდევ მოუვიდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთა-საცავს ერთი ძველი ხელ-ნაწერი წიგნი «ქიტაიის სიბრძნე, ანუ სწავლა ბედნიერად ცხოვრებისა, თარგმნილი რუსულით ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონის ბაიოსისა მიერ წელსა 1777, სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს.» როგორც წინასიტყვაობიდამა სჩანს, ეს წიგნი გადმოთარგმნილია მეფის ქაიხოსროს ასულის ანნას ბრძანებით.

სხვათა შორის ამ წიგნის ერთს ფურცელზედ ვიღასაც დაუწერია შემდეგი საინტერესო ცნობა: ქართლში, მერეთისა, ქულბითისა და ქარბის შუა არის ძველი დაქცეული ნასახლარი, რომელშიაც ოსმალთაგან ხაზინაა დაფლული. არ ვიცით, ეს ცნობა მართალია თუ არა და თუ მართალი არ არის, რამ აიძულა ვიღაც უცნობი პირი ესეთი სიცრუეე შეეთხზა.

= ჩვენ ვნახეთ სოფლისაგან დამტკიცებული განაჩენი მცხეთის საზოგადოებისა, რომლის ძალითაც ეს სოფელი კისრულობს წელიწადში ორმოცი თუმნის გაღებას შეძლებისა-და-გვარად ერთ კლასიანი სკოლის დასაარსებლად. ამას გარდა სოფელი კისრულობს მიცემას საჭირო შეშისას და მოსამსახურის დაქირავებას მასწავლებლისათვის. სოფელი ანდობს ამ სკოლის გამგებლობას «წერა-კითხვის საზოგადოებას», რომელსაც სთხოვს შემწეობას პირველში ოცდაოდე თუმნით, მეგელით და ყოველ-წლივ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების გზავნით.

სიამოვნებით მივეგებებით ამ საყურადღებო გარდაწყვეტილებას ჩვენის უწინდელი დედა-ქალაქის მცხოვრებლებისას.

= მკითხველს ეხსომება, რომ საქართველოს მივარდნილს კუთხეს ჯავახეთში რამდენიმე სკოლა არსებობდა მართლ-მადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოების ხარჯით. სხვათა შორის ორი ამ სკოლათაგანი იყო ქართველების სოფელში ჭილდასა და ბარალეთში. რაკი ხსენებულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა თავის სკოლების დაკეტა, ეს ორი სკოლაც უნდა დაკეტილიყო. მაგრამ იქაურ მაზრის უფროსს თ. სუმბათიშვილს დაუვლია ხსენებული სოფლები და შეუდგენია განაჩენები ჩვეულებრივს წესზედ სკოლების გახსნის შესახებ. ამ სოფლებს, თუმცა უკისრიათ ახალი გარდასახადი, მაგრამ მძიმედ, რადგან შინებიათ მასუკან ამ გარდასახადს თანდა-თან მოუმატებენო. ბიდრე თ. სუმბათიშვილს არ დაურწმუნებია, რომ მომატება ყოველად შეუძლებელია, რამდენიმე სოფელი მტკნარს უარზედა მდგარა.

= ჭიზიყიდამა გვწერენ: «უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მშვენიერი დღეები დადგა და გლეხებმაც რიგიანად იმუშავეს. ამდარი ისე ალარ უშლიდა ჭირნახულის მოზიდვას. ბუერი ცოტა ნაკლებად მოვიდა, ხოლო ქერი და ფეტვი მომეტებული. ქერი ზოგიერთა ვაჭრებმა მაისში ათ შაურობაზედ დაიკვეთეს კოდი, მერე თავიანთ ლიტრით. საკვირველია, რომ

სახელმწიფო ლიტრებიც კი ტოლები არიან და ზოგი ერთი მუჭათი სჭარბობს, ზოგი ორითა და კიდევ მეტით. ესეთ უსწორ-მასწორობას საწყაოსას მეტის-მეტი ენება მოაქვს მწარმოებელთათვის.

«აქ ყვავილია გაჩაღებული, როგორც ამბობენ, შემდეგს სოფლებში: ძველმა მაჩხაანში, ტიბაანში, ჰრასიანში, მირკაანში და ქოტაანში. ყვავილი ჯერ არ იყო აქ გაჩენილი, როცა ამცრელი მოვიდა, მაგრამ ასში ორმა არ ააცრეევინა. დანარჩენები ტყეებსა და ვენახებში მალავდენ ყმაწვილებს, რომ აცრა აეცილებინათ. ერთი მოხელე იძულებული იყო ხალხის დასაჯერებლად მის წინაშე აეცრევინებინა თავის შვილისათვის.

= 17 ამ თვეს, თბილისის ქუჩებზედ გამოატარეს რვა კაცი ერთმანეთზედ თოკებით გადაბმული, რომელთაც მცველებად კომბალ-მხარზედ-გადებული სამი გლეხი მოსდევდა. იმათ ხმაურობით, ხარხარით და ჩვეულებრივის ოხუნჯობით მიაცილებდენ თბილისის ქუჩის ბიჭები, რომელნიც საზოგადოდ მოყვარულნი არიან ყოველ გვარის სანახავისა.

დაჭერილები აღმოჩნდენ თბილისელი ჯიბგირები, რომელნიც სოფ. მარტყოფში ხატობას ყოფილიყვნენ და იქ დაეწყოთ თავიანთ ხელობა, რომელიც ისე უბედურად გათავებულიყო, რომ რვანივე დაეჭირათ.

მათ შორის იყვნენ რამდენიმე ჯერ სრულიად ბავშვი, რომლებზედაც ჩვენში ამბობენ ხოლმე: «ჯერ პირზედ რძე არ შეშრობიათო».

= ჩვენ შევიტყეთ, რომ იბეჭდება და ამ ცოტას ხანში გამოვა ბ. მოჩხუბარიძის წვრილი მოთხრობანი, რომელთა შორის «ეღვისოტ» იქნება (მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან.).

= სხვა-და-სხვა სოფლებიდგან გვატყობინებენ, რომ საზოგადოდ გზები და ბოგირები მეტად დაძველებულები და მოშლილები არიანო და ხალხს მათზედ სიარული უჭირდებათო. ნამეტნავად ბოგირების წახდენა აწუხებს, ხალხსაო, რადგანაც მძიმედ დადებულს ურმებს ვერ უძლებენ და გადაბრუნებულს ურემზედ დაწყობილს ძნას თავ-თავი სრულიად ეკარგებაო.

საკვირველია ჩვენი სოფლების უზრუნველობა: ვერ შესჩვევიან იმ ჭეშმარიტებას, რომ თუ თითონ არ იზრუნეს თავიანთ თავზედ, სხვები არც იზრუნებენ და არც.... მოვალენი არიან. თავის კეთილ-დღეობაზედ ზრუნვას ხალხი თითონ უნდა შეეჩვიოს.

= ჩვენ გვატყობინებინებენ, რომ დახურულს ბაზარში დიდი არეულობა თურმე არის, მუშტარი თუ ვინმე შევიდა, გამსყიდველები მოსვენებას არ აძლევენ თავიანთ მაღაზიებში მიპატიჟებით და ბევრჯერ იქამდის მიდის საქმე, რომ მსყიდავს ტანისამოსსაც ახევენო.

უკეთუ საუბედუროდ ვისმე გზის შესამოკლებლად ამ ბაზარზედ გავლა მოუნდა, მაშინ კაცს სწორედ ცეცხლის ალში გაატარებენ. ზოგი მასხარად იგდებს, ზოგი ჩოხას ეწევა, ზოგი ქუდს უგდებს და თუ ტანჯულმა ხმის ამოღება გაბედა, იმის გაბერტყასაც ბევრს აღარ დააგვიანებენო.

წვრილი ბაზაზხანის ბიჭები ამ საზიზღარს დროს-გატარებას უფრო ხშირად სოფლელებთან დაიწყებენ ხოლმეო, რადგანაც იმათ ყველაზედ ნაკლები საშუალება და დრო აქვს აქვსთ სამართლის კარი მონახონო.

= სურამიდგან იწერებიან, რომ სცენის მოყვარენი საზოგადოების თანაგრძნობის გამო ქართული წარმოდგენის გამართვას კიდევ აპირებენო. ეჭვი არ არის, რომ ეს წარმოდგენაც საკმაო შემოსავალს მისცემს, რადგან კნ. ნ. ერისთავისა არის გარეული და მისი გულ-მოდგინე მეცადინეობა საქველმოქმედო საქმეში არა ერთხელ დამტკიცებულა. შემოსავალს ისევ ის დანიშნულება ექნება, რა დანიშნულებაც პირველი წარმოდგენის შემოსავალსა ჰქონდა, ესე იგი «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» თანხის შემატება.

= ამალამ, არწრუნისეულ თეატრში დანიშნულია წარმოდგენა ორის ახალის ვოდევილისა და დივერტისმენტი, რომელშიაც სხვათა შორის მიიღებს მონაწილეობას ქართული ხორო.

= მეორე ვაჭრობისათვის ჭუთაისის საადგილ-მამულო ბანკს დარჩენია შემდეგი მამულები: ჭუთაისის გუბერნიაში 8 ქალაქისა და 6 სოფლისა, სხვათა შორის ის სახლიც, რომელიც თითონ ბანკს უჭირავს და თბილისში 3 ქალაქის მამული. ვალი დარჩენილ მამულებზედ 150,000 მანათამდეა.

= «ბაქოს უწყებებს» გაუგონიათ, რომ პეტერბურგში სდგება ევსტროროუსეთის საზოგადოება, რომელსაც საგნად ექნება ბაქოს კეროსინის გაზიდვა ავსტრიაში.

= პეტერბურგიდამ მოსელია მოწერილობა ქავკაზიის სამხედრო ოლქის სასამართლოს, რომ ამას იქით ყველა საქმეები თბილისში გაარჩიოს და არა დროებით განყოფილებაში. ეს განკარგულება ალბად იმითია გამოწვეული, რომ ხშირად მთელი სასამართლო მიდიოდა მხოლოდ ერთის საქმის გასარჩევად და მთელი თვე რჩებოდა იქ...

= რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია დაწესებულ იქმნას პასაჟირების ბილეთები მეოთხე კლასისა ყველა იმ რკინის გზებზე, რომელნიც მთავრობას ეკუთვნიან.

—

ანგარიში. მარიამობისთვის 12-ს «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» სასარგებლოდ სურამში გამართული წარმოდგენიდამ შემოვიდა ოც-და-ოთხი თუმანი და ორი აბაზი, აქედგან დაგვეხარჯა:—ზალის განათებლად—2 მან. და 54 კაპ., საბანდრებს—5 მან., პარიკმახერს—10 მან., სახლის პატრონს—5 მან., მუშებს—7 მან. და 25 კაპ., წვრილი ხარჯი—9 მან. და 73 კაპ. წმინდა მოგება დარჩა ოცი თუმანი და 42 კ., რომელიც კანონისამებრ გადაეცა სურამის პოლიციის პრისტავს ალნიშნულ საზოგადოების მმართველობაში გადასაცემად. აქ არ შეგვიძლიან გულითადი მადლობა არ მოვახსენოთ სურამის სცენის მოყვარეებს საზოგადოდ და კერძოდ ქქ. ეკატერინე მოატისას, ნინა ალექსანდრეს ასულს ერისთავისას, ბარბარე ხერხეულიძისას და ანეტა ყიფიანისას, აგრეთვე ბბ. ქოტე ყიფიანს, ვასო თუმანიშვილს და ს. მგალობლიშვილს იმ გულწრფელი თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ აღმოგვიჩინეს წარმოდგენის გამართვაში.

მმართველნი წარმოდგენისა:
კნ. ნინო ერისთავისა,
კნიაზნა ნინო ბაგრ. დავიდოვისა.
ალექ. ნათაძე.

„დროების“ კორესპონდენცია

—

ს. ვეჯინი, აგვისტოს 4-ს. ს. ვეჯინი გაშენებულია ცივ-ბომბორის მთა გრეხილის ძირზედ ჩრდილოეთით. იგი სძევს მშვენიერს ალაგზედ და შემკულია ყოველის ფრით: აქეთ-იქით სოფლები არტყია, სოფლის ბოლოს ხშირი ვენახები ამშვენებენ, სამხრეთით ვეჯინს დაჰყურებს მთა მშვენიერის ეკლესიით, რომელსაც ძველად დიდი და მაგარი ციხე ჰრტყმია; ამ უკანასკნელის ნანგრევებს ეხლაც საკვირველებაში მოჰყავს მნახველი *).

ვეჯინი არის გაშენებული სამს მთის კალთაზედ. თვითეულს ამ კალთებზედ გაშენებულს ნაწილს სხვა-და-სხვა სახელი აქვს. ვეჯინელებს-რივის სიმდიდრით და ხალხის რიცხვით სხვა შესანიშნავ ქახეთის სოფლებს არ ჩამოუვარდება.

ბლეხებს გარდა ამ სოფელში სცხოვრობენ: აზნაურები, თავადები (ექვსი კომლი), სომხები, ბერძნები (ორი კომლი), რომელნიც თამბაქოს მოყვანას მისდევენ და ძრიელ კარგიც მოჰყავთ, ასე რომ წელიწადში თითო 3000 მანათამდე იღებს. მიწები გლეხებს დაყოფილი აქვთ. ალაზნის გალმა-მხარი ვეჯინის ბოლოს და ციგომბორის მთაც ვეჯინის ზევით ეკუთნის თავადებს. **)

რადგანაც სასოფლო ტყე არ არის ამისათვის დიდს შეჭირვებაში არიან მცხოვრებნი მამულის პატრონების დაყენებულ ტყის მცველთაგან, რომელთაც სულ ქრთამზედ უჭირამთ თვალი.

რადგანაც აქ ყველას არა აქვს სამყოფი მიწები, ამისათვის ბევრნი ჰხნამენ მამულის—პატრონთა მიწებში და აძლევენ ღალას ღღიურზედ კოდს, რაც ეთესება, მაგრამ თუ სურვილი მოუკლის, მეოთხედსაც გამოართმევს ხოლმე მოსავლისას მამულის პატრონი. უსაქონლონი მიდიან სამუშაოდ მალაკნებში და ნემეცების კოლონიებში, საიდგანაც საკმაო ფული მოაქვთ.

ამ სოფელში 1879 წ. დაარსდა სკოლა, რომლის საქმე ეხლა ძრიელ კარგად მიდის. ხალხიც მუყაითად ეჭცევა და მოსწავლენიც კარგა სწავლობენ. მადლობის ღირსია მთავარი პ. ელიზბაროვი, რომელიც უფასოდ საეკლესიო გალობას ასწავლის და ბევრი კიდეც დაასწავლა, ასე რომ ბავშვები საყდარში გალობენ, გარდა ორიოდე ძნელი საგალობლისა.

ქ. მ. აქ გამოაცხადეს ეზოების დაწმენდა, რომ ხოლერა არ გაჩნდესო; ხალხმაც ეს მხედველობაში მიიღო და ბეჯითად შეუდგა კარმიდამოების დასუფთავებას. აქ ეხლა დიდი

*) ამ ციხეს „თამარ-ციხეს“ ეძახიან და შესანიშნავია საქართველოს ისტორიაში, როგორც მაგარი ციხე (რამდენჯერმე მოიხსენიებს ამას ისტორია); ამ ციხეში არის ეკლესია „ღვთაებისა“, რომელშიაც მრავალი ძველი ღირს-შესანიშნი რამ მოიპოვება; ამ ეკლესიაშივეა რამდენიმე ხელთ ნაწერი წიგნი. სხვათა შორის მე ვნახე აქ ერთი ხელთ-ნაწერი, სახელდობ: „ქადაგება აღდგომის დღეს“—ამბროსი ნეკრესელისა. ეს ქადაგება თუმცა არის ამბროსი ნეკრესლის ქადაგებაში, რომელნიც დაბეჭდინა პატრიარქმულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა, მაგრამ შესანიშნავია ამ ხელ-ნაწერზედ წერილი ამბროსისა ვინმე მღვდელ იოსებ მათიკაშვილისადმი. ამ წერილში ამბროსი ბოდიშს იხდის მათიკაშვილთან, რომ ქადაგება მხედრულად დაგწერე და არა ხუცურადაო. ეს იმიტომაო, სწერს ამბროსი, რომ მე ვარ ბნელს ციხეში და არც საჭირო ნივთები მაქვს, რომ ხუცურად დამეწერაო. ეს წერილი ფრიად შესანიშნავია ამბროსის ბიოგრაფიისათვის. ამბროსის ბიოგრაფიაში, რომელიც შეუდგენია მ. დიმ. ჯანაშვილს, არ არის ნათქვამი, იყო თუ არა ამბროსი ციხეში დამწყვდეული, რასაც ცხადად მოგვითხრობს ეს წერილი, რომელიც, ვფიქრობ, თვით ამბროსის ავტოგრაფი უნდა იყოს. სხვაზედ შემდეგ ამ ეკლესიის აღწერაში მოვილაპარაკებთ.

ავტ.

**) მინდვრები აქ სარწყავნი არ არიან, გარდა მცირედი ნაწილისა, თუმცა კი დღესაც კვალი ჩანს ერთი განიერი არხისა, რომელიც თამარ მეფეს გაუყვანია და რომელზედაც მიმდინარებულა ალაზანი და ურწყავს კახეთის მინდვრები. ეს არხი ალავერდიდგან იწყობა და ჭრქმევია „თამარის-არხი“. ამ არხის კალაპოტზედ ეხლა არის მშვენიერი, ფართო და სწორე გზა, რომლითაც მოგზაურობს უმეტესი ნაწილი ქიზიყისა ალავერდში სალოცავად.

ავტ.

წვიმებია, და კალოები ველარაფის გაულეწია.

ბ. ვეჯინელი.

სურამი. ზამთარში მთლად გაფრანებული და «დასკუჩნებული» სურამი დღეს გაჩაღებულია. ამდენი ხალხი,—რამდენიც წრეულობით მოაწყდა სურამს, სიზმარშიაც არ მოელანდებოდათ სურამელებს და შემდგომ ხომ, ვგონებთ, ბურთი და მოედანი «საგარაკო» ადგილთ შორის სურამს დარჩეს... აქაურმა მშვენიერმა ჰაერმა და ბუნებამ თავისი განსაკუთრებითი ბეჭედი დაჭრა აქ მოსულებს, გაამალხაზა, გაუცხოველა ქალაქური უგულო ცხოვრება და მოდი და ეხლა ესენი მოიშორე თავიდგან ზაფხულობით... ღმერთმაც დაიფაროს სურამი ამ უბედურობისაგან: ესენი რომ არ იყვნენ, სურამელებს რაღა ეშველებოდათ, მთლად «დასკუჩნდებოდენ» და სპილოსაებრ ცხვირს ჩამოუშვებდენ. მართლაცა და ეს «დაჩნიკები» ძალიან გვშველიან მეტადრე „ეოენები“. მოვლენ და გააცხოველებენ ხოლმე სურამის საზოგადოების სუნთქვას თავიანთი „როტონდით“. თუმცა კი ამ სანეტარო როტონდაში «ჩოხიანებს» და ჩიქილიანებს უწყალო ბედი სდევნის ვიღაც-ვიღაცა გადამთიელების წყალობით, მაგრამ ეს ვარამიც უნდა მოვინელოთ: — ხომ მოგეხსენებათ «მოდაა»...

მაგრამ ეს კი ვერაფერია, რომ მოსწავლე უმაწვილებს იმისთანა ადგილებში და იმისთანა გარემოების ქვეშ აქვთ ადგილი, როგორიც სურამის როტონდაა... როგორც აღმზდელობით ისე სხვა მხრითაც ეს გარემოება ძალიან სამწუხარო მოვლენაა ბავშვებისათვის, რადგანაც ეს როტონდა წარმოგვიდგენს პატარა სამკურნალოს, სადაც „ზნეობითი პრინციპების“ მეძიებელნი ავადმყოფს ხალხს ნივრის ჭამას ურჩევენ და მანდილოსნები ერთმანეთს კვის ღეჭას.

ტლინკვას და «არხიარალეს» მერეც ისწავლიან ჩვენი მოზარდი ბავშვები... ეხლა განვითარება, განვითარება ზნეობითი და გონებითი,—აი საგანი ახალი პედაგოგიისა. მე ამით იმას არ მოგახსენებთ, რომ სიმხიარულეს მოაშორეთ ბავშვები მეთქი, ეს მეტი პედანტობა იქნებოდა. არა, ამათი მხიარულობანი და გართობა კარგი გარემოებით და ადგილით შეაზავეთ-მეთქი, თორემ ბავშვების 9 საათიდგან ნაშუალამევის სამ საათამდის ტლინკვა ვერაფერ ზნეობით კვალს აღბეჭდავს ბავშვის ცხოვრების მსვლელობაში, მაგრამ ამას თავი დავანებო, თორემ აკაკისა არ იყვეს:

«წამტდება მეტი,
დამერქმეკა ტეტი,
მომსვდება კეტი».

ისა სჯობიან, მკითხველებს სხვა რამ გასართობი ამბებით ვემასლაათო. სურამის საზოგადოების და საერთოდ მთელი ზემო-ქართლის დღიურ გმირად ბარონ ძლეისტი და სოლ. კ—შვილია; მოგეხსენებათ ბ. ძლეისტმა ამ ორი წლის წინად მართლა რომ „ვაქკაცური“ ვაქკაცობა ჩაიდინა სხვის წაჩურჩულებით. დაიწყო ამაზე საჩივრები—სამსჯავროომ უარჰყო ეს საჩივარი, რადგანაც კანონში მაგგვარ საქციელზე გადაჭრილი სასჯელი არ მოიპოვებაო, სენატამდის მივიდა საქმე და, როგორც მითხრეს, ამ უკანასკნელის განკარგულებით ბარონს დაუპირეს „ვირ.ის აბანოში“ ჩაბძანება... ამ ამბის გამგონე ბარონმა ერთი ლაზათიანი ფლეგმატიური, ნამდვილი ნემეცური სილა გაულაწუნა მართლა რომ წყნარს და სინიდისიან გამომძიებელს და სხვებსაც უპირებდა «ტოტუების» ამართვას; მაგრამ დატყვევებული ირაკლის ფაეტონით ბორის ციხის სანახავად გაამგზავრა პოლიციამ.

დროც იყო ღმერთმანი ამისი მოშორებისა.. ჩვენი მდგომარეობა მთლად აგვირივ-დაგვირივა... შეგვირყია მყუდრო ცხოვრება თავისი დედა-კაცურის ჭორი-კანაობით... ჩამოაგდო შუღლი ბევრი ცოლ-ქმარისა და დედ-მამისა და ბავშვებს შორის. გააქიშპა ერთი ერთმანეთზე ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და ისეთი არევ-დარევა მოახდინა, რომ ღღეს სურამელები ერთმანეთზე ძაღლა-კატობენ“.

როგორც ამ ვაჟბატონის დასჯა ახარებს და ამხიარულებს ადგილობრივს საზოგადოებას, ისე ერთი მოხუცებული ორჯონიკიძეს დატყვევება აწუხებს და ავალალებს მთლად ჩვენს არე-მარეს... აი საქმე როგორ არის: ეს ორჯონიკიძე (60 წ. ბერი კაცი) და ნემსაძე ერთად ქეიფობდენ და ქეიფის დროს უცაბედად (ასე ამბობენ) ბოთლი გაერტყა უკანასკნელისთვის. ნემსაძემ გააჭიანურა საქმე, მოიყრუა თავი და საცოდავ ორჯონიკიძეს გადაუწყვეტინა ციმბირი... ბევრი ხანი იმალა საწყალი სახლში და ბოლოს კი ველარ დაიმალა, მტრებმა შეატყობინეს პოლიციას და პრისტავმაც ამ მოხუცებულის დასაჭერად მთელი ერთი სოტნა ქართველთ მილიციისა გალაშქრა და დაიჭირა.. ძნელი წარმოსადგენია კაცისთვის ის მწუხარება და ვაი-ვაგლახი, რომელნიც ორჯონიკიძის დაჭერამ დაბადა საზოგადოებაში... მართლაცა და ამისთანა რიგიანი, მშრომელი და საოჯახო კაცი ორჯონიკიძეებში არ გამიხსულა და გასაკვირვალი არა არის რა, რომ იგი ყველას ენანებოდეს.

ლეწვა გაჩაღებულია აქეთ... საზოგადოდ კაი მოსავალია, რომ მარცვალი ცოტა ფშუტე და მამხობლიანი არ იყვეს... სიმინდების იმედიც ძალიანა გვაქვს ეხლა, წვიმის შემდეგ... ხორბალი ძაან იაფია... ზოგგან კოდი მანათად ფასობს... სიმინდის და ქერის გაძვირებაზედაც ლაპარაკობენ...

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოუცხადოთ მადლობა ჩემის მხრით თქ.ენს პატივცემულ გაზეთ «დროებაში» ბრიტანიისა და სამზღვარ-გარედ ღვთის მეტყველების ამხანაგობას ქ. თბილისში, რადგანაც თანხმად ჩემის თხოვნისა მათ აჩუქეს ექვსი ეგზემპლიარი სახარება ქართულ ენაზედ ჩემს სკოლაში კურს-გათავებულ შეგირდებს.

გურჯაანის სახალხო
სკოლის მასწავლებელი
მ. ბაადუროვი.

ქ. თბილისი.
აგვისტოს 14, 1884 წ.

უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა ხილისა და ყურძნის არაყის ხდის ახალი წესების შესახებ.

წესდებულებანი.

საზოგადო დებულებანი.

არყის ხდა მეარყეების ზავოდებში.

5. მეარყეების ზავოდებში არყის გამოსახდელ ქვაბებში საერთოდ ასი ვედრო უნდა ჩადიოდეს და არა ნაკლებ; გარდა ამისა ეს ქვაბები არ უნდა იყვნენ მოწყობილნი გალლისა და სხვა ამ გვარ სისტემაზედ (ორი ან რამდენიმე ქვაბი ერთ სისწორეზედ,) გაუწყვეტლივ მომქმედი აპარატი რამდენიანიც უნდა იყოს, სულ ერთია.

სხოლიო. ეს წესი არა მოქმედობს აწინდელ ზავოდებზედ, რა სისტემისაც უნდა იყვნენ უკანასკნელნი.

6. ხილის არაყის გამოსახდელად მეარყეების ზავოდებში შეიძლება ხმარებულ იქმნას თუთის გამონაწური, ლეინო, ტკბილი, ნარევი ყველა ამისა და ჭაჭისა ერთად, ჭაჭა-თხლე, სხვადა-სხვა გვარი ხილი; გარდა ამისა გაუმჯობესებულ ზავოდებში შეიძლება იხმაროან ქიშმიში და სხვა ყოველ გვარი ჩირი.

7. ვინც ყურძნისა და სხვა ხილეულის არაყსა ჰხდის, არ შეუძლიან გაურიოს ქიშმიში ან სხვა რამ ჩირი, ამიტომაც ამ გვარი არაყის გამოხდის დროს თვით შენახვა ქიშმიშისა და ჩირისა აკრძალულია.

8. მეარყეების ზავოდებისათვის უსათუოდ აღებულ უნდა იქმნენ პატენტები და მოწმობანი, რომელთა შორის პირველნი მიეცემათ იმოდენა ხნით რამდენხანსაც არყის ხდა გასწევს; მეორენი (მოწმობანი) მიეცემათ გაუმჯობესებულ ზავოდებს თოთხმეტის დღით და არა ნაკლებ. უბრალო ზავოდებს კი არა ნაკლებ შვიდის დღისა.

9. პატენტი და მოწმობა ზავოდის მუშაობის დროს გამოსაჩენ ადგილას უნდა იყოს გამოფენილი.

10. მეზავოდე, რომელსაც ყურძნეხილეულის არაყის ხდა უნდა, ვალდებულია წინადვე გამოხდის დაწყებამდე სამის დღით ადრე მაინც, წარუდგინოს მაზრის ზედამხედველს, ან მის თანაშემწეს განცხადება იმ ფორმით, რომელიც ფინანსთა მინისტრის მიერ არის დადგენილი.

11. როდესაც ზედამხედველი ან მისი თანაშემწე მეზავოდესაგან გამოგზავნილ განცხადებას გასინჯავს და შეამოწმებს, რომ ზავოდი სწორედ იმისთანაა, როგორიც წინედ წარდგენილ აღწერილობაში, მაშინ ზედამხედველი, ან მისი თანაშემწე ნებას აძლევს არაყის გამოხდისას ზავოდში.

12. იმ წესებს, რომელნიც საარაყო ბაჟის წესდებულების 144 და 155 მუხლ. არიან მოხსენებულნი და შეეხებიან ჰურის არაყის ზავოდებს, ექვემდებარებიან აგრეთვე ხილისა და ყურძნის არაყის ზავოდებიც.

13. არაყის ხდის დასაწყისი ითელება იმ საათიდამ, რა საათიც დანიშნულია გამოსახდელ ჭურჭლების ბეჭდების ასახსნელად; ამასთანავე დრო ბეჭდის ასაგლეჯად ისე უნდა დაინიშნოს, რომ პირველი გამოხდა დღისით მოხდეს.

(შემდეგი იქნება)

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის საგენტოსი“)

აგვისტოს 18-ს

პეტერბურგი. პოლკოვნიკი, თავადი ბარიათინსკი, ცხენიანი-გვარდიის პოლკის კომანდირად ნამყოფი, ისეა დათხოვნილი სამსახურიდამ და არა ავადმყოფობის გამო.

შანხაი. ევროპიელებს ჯერჯერობით ძალადობით არ მოქცევიან; კონსულები იწვევენ ჩინელებს, რომ მათ ქალაქს თავი არ დაანებონ და ჭვირდებიან სრულს უშიშროებას, რადგან ფრანცუზები არ იმოქმედებენ შან-ხაისა და ვუსუჰლის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ ჩინეთს დროებით მშვიდობის ჩამოგდება სურს.

პარიჟი. გენერალი მილიო თვის მოხსენებაში იწერება, რომ ჩინელები წამოსულან ტონკინის გვერდით მდებარე კუანგსის პროვინციისაკენ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ახლად მივიღე თავადი ილია გრიგორის ძე ჯავჯავაძის ღვინოები ევარელიდგან: ბოთლი 15 კაპეიკიდგან 1 მანეთამდე; თუნგი 60 კაპეიკიდგან 3 მანეთამდე. სკლადი ველიამინოვის ქუჩაზედ წინამძღვაროვის სახლებში.

(3—3) სოლომონ ივანიჩ ჟურდღელოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანსი

თბილისის სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლისისთვის 1884 წლისა.

აქტივი.

	მან.	კ.	მან.	კ.
1) ნაღდი ფული კასაში . . .	17,089	98		
გირაოს ფურცლები	34,300	,,	51,389	98
2) მიმომდინარე ანგარიშებზე:				
ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში	187,700	,,		
ბ) კერძო ბანკებში	1,255	51	188,955	51
გ) კორესპონდენტებთან. . . .				
3) მიბარებულობა:				
ა) საწევრო ფული თბილისის ურთიერთშორის ნდობის საზოგადოებაში . .	—	—	60	57
4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები:				
ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში 80,000 .	72,049	50		
ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები . .	41,984	10		
% იმათი.			114,033	65
5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით:				
ა) მიწა-წყლის გირაოზე $54^1/_2$ წლით .	437,300	,,		
ბ) მიწა-წყლის გირაოზე $43^1/_2$ წ. .	362,600	,,		
გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ $27^1/_2$	574,200	,,		
დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თვით	6,300	,,	1,380,400	,,
6) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვალის 1881 წ. წესდების ძალით და გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ:				
ა) მიწა-წყლის გირაოზე $43^1/_2$ წლით. .	848,564	90		
ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წლით .	2,589,614	90	3,438,179	80
8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შელავათი (§ 13)	181,259	88		
ა) დიდ-ვადიან სესხზე. . . .	2,278	94	183,538	82
ბ) მცირე-ვადიან სესხზე				
9) ვადა გასული შემოსატანი ფული .	—	—	26,380	82
10) მცირე-ვადიანნი სესხნი	—	—	138,230	,,
11) გირაოს ფურცლები, საკომისიოდ მიღებულნი (443,600)	—	—	354,880	,,
12) დასაბრუნებელი ხარჯი . . .	—	—	4,958	75
13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადახდილი.				
14) ხარჯი:				
ა) ბანკის მოწყობისათვის . . .	4,218	27		
ბ) ბანკის გამგეობის შენახვა . .	16,616	24	20,834	69
ბალანსი.			5,901,842	59

პასსივი.

	მან.	კ.	მან.	კ.
1) ძირის ფული:				
ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . .	181,987	30		
ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის . .	134,869	05	316,856	35
2) სათადარიგო თანხა:				
ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . .	22,378	87		
ბ) ურთი-ერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა	23,518	01	45,896	88
3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის .	17,426	19		
4) თანხა, რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაშია. . . .	3,859	80	21,285	99
5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . .	—	—	15,593	20
6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით:				
$54^1/_2$ წლით.	437,300	,,		
$43^1/_2$ „	362,600	,,		
$27^1/_2$ „	574,200	,,		
18 წ. და 7 თვით. . . .	6,300	,,	1,380,400	,,
7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთი-ერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავთ ქონებათა:				
$43^1/_2$ წლით	839,100	,,		
$27^1/_4$ „	2,580,100	,,	3,419,200	,,
8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა-ვალდებულის თავნის გადახდისათვის. . . .	—	—	18,979	,,
9) გირაოს ფურცლები, მოპოვებულნი იმ ზარალის დასაფარავად, რა ზარალიც შეიძლება იყოს ბანკზე დარჩენილ მამულების გაყიდვის დროს.	—	—	20,000	80
10) გირაოს ფურცლები მიბარებულნი .	—	—	800	,,
11) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი:				
ა) გირაოს ფურცლებით . . .	13,400	,,		
ბ) ნაღდის ფულით	198	49	13,598	45
12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად.	—	—	70,000	,,
13) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები.	—	—	131,026	,,
14) სარგებლის ფონდი	—	—	143,988	54
15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი:				
$54^1/_2$ წლით.	428	68		
$43^1/_2$ „	1,245	01		
$27^1/_2$ „	7,888	90		
18 წ. და 7 თვით. . . .	296	38	9,858	97
16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით:				
$43^1/_2$ წლით.	2,351	64		
$27^1/_2$ „	24,181	91	26,533	55
17) თავნის გასასტუმრებელი ფონდი არა-სავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი.	—	—	185	74
18) გარდამავალნი ჯამნი:				
ა) ნაღდის ფულით	9,266	43		
ბ) გირაოს ფურცლებით . . .	100	,,	9,366	43
19) კორესპონდენტები	—	—	247,058	66
20) მსესხებელნი	—	—	4,482	14
21) ფონდი დასაფასებელი ხარჯისა . .	45,189	47		
22) მცირე-ვადიან სესხთა პროცენტები. .	3,543	39		
23) ჯარიმა.	7,266	09		
24) სხვა და სხვა პროცენტები. . .	6,745	65		
25) გამოირიცხება მოგებიდამ სრული შესავსები გარდასახადი ივლისის 1-მდე 1884	62,744	60		
წ. ბანკზე დარჩენილ მამულებისათვის . .	56,012	75	6,731	85
ბალანსი.			5,901,842	59

თავსმჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჯავჯავ ძე.

მმართველობის წევრნი { თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი. / თ. ი. გ. მაჩაბელი.

ბუღალტერი ქ. ხაჩატურიანი.

Доз. ценз. Тифлисъ, 18 Августа 1884 г. სტამბა არ. ალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი